



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

---

### გველესიანი გურამ გიორგის ძე

გველესიანი გურამ გიორგის ძე (23. II. 1928, თბილისი, – 2008), მეცნიერი მეტალურგიის დარგში. საქართველო. მეცნი. აკად. აკადემიკოსი (1988; წ.-კორ. 1979), საქართველო. მეცნი. აკად. ქიმიისა და ქიმიკ. ტექნოლ. განყ-ბის აკადემიკოს-მდივანი (1988). ტექ. მეცნი. დოქტორი (1966), პროფესორი (1967), საქართველო. მეცნი. დამს. მოღვაწე (1985).

1950 დაამთავრა საქართველო. პოლიტექ. ინ-ტის ქიმიკ. ფაკ-ტი. 1953–57 მუშაობდა მოსკოვში, სსრკ მეცნი. აკად. ა. ბაიკოვის სახ. მეტალ. ინ-ტში, 1957-იდან – საქართველო. მეცნი. აკად. მეტალ. ინ-ტში, ჯერ უფრო მეცნი. თანამშრომლად, შემდეგ (1961– 80) მეტალ. პროცესების ფიზ. ქიმიის ლაბორ. ხელმძღვანელად, 1980–88 იყო დირექტორის მოადგილე სამეცნი. ნაწილში.

გ-ის სამეცნი. შრომები ეხება მაღალტემპერატურული მეტალ. პროცესების თეორიის აქტუალურ საკითხებს, მყარი არაორგ. ნაერთების თერმოდინამ. კონსტანტებს. გ-ის გამოკვლევები ეძღვნება ლითონების მარტივი და რთული. ჟანგეულების, აგრეთვე ნარევების აღდგენის ფიზ.-ქიმიკ. საფუძვლების დადგენას. გ-ის ხელმძღვანელობით შესწავლილია მრავალი მსუბუქი, იშვიათი და იშვიათ მინათა ლითონების ჟანგეულების ვაკუუმში ლითონთერმული აღდგენის თერმოდინამიკა, კინეტიკა, მექანიზმი, ზოგიერთი მძიმე ფერადი ლითონის მარტივი და რთული ჟანგეულების ნახშირჟანგით აღდგენის კანონზომიერებანი, მანგანუმის ფეროშენადნობთა მისაღები კაზმების ნახშირთერმული აღდგენის თეორ. საფუძვლები, მანგანუმისა და მისი შენადნობების დესულფურაციისა და დეფოსფორაციის თეორ. საკითხები, მყარი არაორგ. ნაერთები, განსაკუთრებით იშვიათ მინათა ლითონების, მარტივი და რთული ჟანგეულების თერმოდინ. ფუნქციები. მონოგრაფიისათვის „ფოსფორთან მანგანუმის ურთიერთქმედების თერმოდინამიკა“

(თანაავტორი, რუს. ენაზე, 1982) მიენიჭა გ. ნიკოლაძის სახ. პრემია (1984). შრომათა ციკლისათვის ავტორთა ჯგუფთან ერთად – საქართვე. სახელმწ. პრემია (1993). მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

*თხზ.*: ნახევრად გამტარი და დიელექტრიკული მასალების ტექნოლოგია, თბ., 1976 (თანაავტ.); ნახევრად გამტარი მასალების ლაბორატორიული პრაქტიკუმი, თბ., 1977 (თანაავტ.); Закономерности металлотермического восстановления окислов в вакууме, Тб., 1972; Термодинамика кислородных соединений редкоземельных металлов при высоких температурах, Тб., 1983 (თანაავტ.).

---